საქართველოს თერაპევტთა ასოციაცია

ASSOCIATION OF THERAPEUTISTS OF GEORGIA

0144, თბილისი, წინანდლის № 9
e-mail:Gordeladze@hotmail.com

0144, TBILISI, TSINANDALI STR. # 9

29.05.2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (Covid-19) მსოფლიო ჯანდაცვის გამოწვევად მოგვევლინა. მისთვის მაღალი კონტაგიოზურობა და ზოგიერთ შემთხვევაში მწვავე კლინიკური მიმდინარეობაა დამახასიათებელი. პაციენტის მდგომარეობის უეცარი დამძიმების რისკი განსაკუთრებით მაღალია თანმხლები დაავადებების, მათ შორის ტუბერკულოზთან კო-ინფექციის შემთხვევაში. შესაბამისად ძალზედ მნიშვნელოვანია არსებობდეს ტუბერკულოზისა და ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (Covid-19) კლინიკური მართვის პროტოკოლი.

საქართველოს ფთიზიატრთა და პულმონოლოგთა ასოციაციის მიერ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრთან თანამშრომლობით შექმნილი პროტოკოლი ეყრდნობა რა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ასევე მასთან აფილირებული ორგანიზაციების მიერ TB/Covid-19 კო-ინფექციის ერთობლივ მართვასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ უახლეს მონაცემებს, მედპერსონალს აწვდის ტუბერკულოზის და Covid-19-ის კო-ინფექციის დროული გამოვლენის და კლინიკური მართვის ეფექტურ რეკომენდაციებს. მასში დეტალურად არის გაწერილი ტუბერკულოზის როგორც ახლადდიაგნოსტირებულ, ასევე მკურნალობაზე მყოფ პაციენტებთან Covid-19-ის დიაგნოსტიკური მიდგომები, მკურნალობის ინიცირების ეტაპები და სამკურნალო მედიკამენტების ოპტიმალური კომბინაციები.

საქართველოს თერაპევტთა ასოციაცია დადებით შეფასებას აძლევს ტუბერკულოზის და ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (Covid-19) კლინიკური მართვის პროტოკოლს და რეკომენდაციას აძლევს მას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინებისა) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე წარსადგენად.

საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის ხელმძღვანელი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დავით გორდელაძე

საქართველოს თერაპევტთა ასოციაცია ASSOCIATION OF THERAPEUTISTS OF GEORGIA 20614 1986 GEORGIA